



## THE ROLE OF E-COMMERCE TOOLS IN THE GLOBAL MARKET

Copyright © 2023 the Author/s  
Peer review method: Double-Blind  
Accepted: July 9, 2023  
Published: July 21, 2023  
Original scientific article  
DOI suffix: 10.36962/NEC18032023-45



**Kristina Jganjghava**

Doctor of Business Administration  
Invited Professor of Ivane Javakhishvili TSU  
<https://orcid.org/0009-0007-3203-890X>  
E-mail:kjganjgava@yahoo.com  
Cell: (+995)511 19 33 25

### ABSTRACT

*Electronic commerce involves the buying and selling of goods and services through electronic systems such as computer networks and the Internet. The paper analyzes the main directions of influence of new technologies in the field of e-commerce. This refers to the issue of business model innovation in trade and changes in the structure of the retail industry. Useful recommendations for creating advanced e-commerce applications that take into account both technology and consumer rights protection are developed.*

**Keywords:** E-commerce, global market, web technologies, software tools.

### REFERENCES:

1. Alexa.com. (2022). Mekawyat.com competitive analysis, marketing mix and traffic. [online] Available at: . <https://www.alexa.com/siteinfo/mekawyat.com>;
2. Atase Fl, Timofte C., (2004), Tehnologia afacerilor pe Internet, ASE, Bucuresti;
3. Ivanovna, N., (2020). Swot analysis: the technique. Bulletin of the Tver State University. Series:
4. Gibson Kimutai (2018), A Content Based Image Retrieval Model for E-Commerce. International Journal Of Engineering And Computer Science ISSN:2319-7242;s and Management, (4(52), pp.62-71;
5. Turban, J. Lee, D. King and H. M. Chung, 'Electronic Commerce: A Managerial Perspective', Prentice Hall, 1999;
6. Papazoglou, M.P, Ribbers, P.M.A, (2006), E-Business: Organizational and Technical Foundations, J. Wiley USA;
7. Powers, D., (2010), PHP Solutions: Dynamic Web Design Made Easy, friends of ED, USA;
8. Nixob R., (2009), Learning PHP, MySQL, and JavaScript: A Step-By-Step Guide to Creating Dynamic Websites, Wiley, USA;
9. Soran Abdulkarim Pasha (2017) Similar image retrieval in e-commerce for online shopping based on color and edge. International Journal of Scientific & Engineering Research, Volume 8, Issue 2, pp.1185-1188.



# ელექტრონული კომერციის ინსტრუმენტების როლი გლობალურ ბაზარზე

ქრისტინა ჯღანჯღავა

ბიზნესის ადინისტრირების დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის თსუ-ის მონვეული პროფესორი


E-mail:kjganjgava@yahoo.com

მობ: (+995) 511 19 33 25

## აბსტრაქტი

ელექტრონული კომერცია მოიცავს საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვას ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორც კომპიუტერული ქსელები და ინტერნეტი. ნაშრომში გაანალიზებულია ახალი ტექნოლოგიების გავლენის ძირითადი მიმართულებები ელექტრონული კომერციის სფეროში. აღნიშნული ეხება ვაჭრობაში ბიზნესმოდელის ინოვაციის საკითხსა და ცვლილებებს საცალო ინდუსტრიის სტრუქტურაში. შემუშავებულია სასარგებლო რეკომენდაციები ელექტრონული კომერციის მონინავე აპლიკაციების შესაქმნელად, რომელიც ითვალისწინებს როგორც ტექნოლოგიის, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონული კომერცია, გლობალური ბაზარი, ვებ-ტექნოლოგიები, პროგრამული ინსტრუმენტები.



## შესავალი

ტრადიციული სავაჭრო საქმიანობა აუცილებელია მუდმივად მოერგოს ბაზრის პირობებს და ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რათა დარჩეს მაღალ კონკურენტუნარიან სექტორად. დღეისათვის მყიდველი გაცილებით ინფორმირებული, უფრო მობილური და შეშფოთებულია გარემოსა და ჯანდაცვის საკითხებით, გაცილებით მომთხოვნია პროდუქციის ხარისხისა და პერსონალიზაციის თვალსაზრისით.

სავაჭრო აქტივობამ აუცილებელია რეაგირება მოახდინოს დემოგრაფიულ ფაქტორებზე, როგორცაა: მოსახლეობის მიგრაცია, ურბანიზაციის გაფართოება, მოსახლეობის საშუალო ასაკის მატება, დემოგრაფიული კლება და ა.შ. ტრადიციული კომერციული სანარმოების საოპერაციო ხარჯები იზრდება, მყიდველები ხდებიან უფრო საზრიანები, რაც დამატებით ზეგავლენას ახდენს მოგების დონეზე. ამ პირობებში ინოვაციების ზრდა და უახლესი და მონინავე ტექნოლოგიების გამოყენება ვაჭრობის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მთავარი ფაქტორია. [Papazoglou&ribbers,2006]

ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება განაპირობებს ინოვაციურ გადანყვეტილებებს, რომლებიც წარმოდგენილია კონკურენტული პროგრამული ინსტრუმენტების ვებ-ტექნოლოგიების განვითარებით. მაღაზიებ-

ის ახალი ფორმები, კომერციული ტექნოლოგიების ახალი ტიპები, ახალი მეთოდები და სტრატეგიები ბაზარზე, რომელთა გაანალიზებასაც ისახავს მიზნად მოცემული ნაშრომი, ხელს შეუწყობს მუტაციების მოსალოდნელ პროგნოზირებასა და ანალიზს. [Atase&Timofte, 2004]

## ელექტრონული კომერციის პლატფორმის ძირითადი მოდელები

ელექტრონული კომერციის სფეროში წარმატებული ბიზნესის გასავითარებლად არსებობს პროგრამული პროდუქტების მრავალფეროვნება, რომელიც ხელს უწყობს, სრულად სტანდარტიზებული ელექტრონული მაღაზიის შექმნას და უზრუნველყოფს ყველა საჭირო მოდულით სწრაფად, მარტივად და დიდი ხარჯების გარეშე. [Povers,2010]

ონლაინ მაღაზიების ორგანიზებისა და მართვისთვის, შემდეგი პროგრამული პროდუქტებია შექმნილი. ამ ტიპის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროდუქტებია:

- მიკროპროგრამები;
- უფასო პროდუქტები.

ელექტრონული კომერციის დანერგვისა და გამართულად მუშაობისთვის არსებობს ორი გზა:

- ოფიციალური ვებ-საიტებიდან საცდელი პროგრამის ჩამოტვირთვა შეზღუდული პერიოდის განმავლობაში. ამ პროცესს ჩვეულებრივ ხელ-



მძღვანელობს ოსტატი. ეს სისტემა არ თავაზობს ფასიანი პროდუქტების ფუნქციებს და ამდენად მისი ფუნქციები ლიმიტირებულია.

- სერვერზე სატესტო საიტების შექმნა. ასეთ დროს პროდუქტის გამოყენება შესაძლებელია განსაზღვრული დროით (დაახლოებით 14 დღე). ამ შემთხვევაში ხელმისაწვდომი და უფასოა ჰოსტინგი. წინა შემთხვევის მსგავსად, აღნიშნული ვარიანტი გვთავაზობს ძირითადი მოდელების და პროდუქტების ფუნქციების მხოლოდ ნაწილს.

ელექტრონული კომერციის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტების ძირითადი მახასიათებლებია:

- ვებ-საიტისთვის: პროდუქციის კატალოგი, აღწერილობები, კალათა, პროდუქციის სხვადასხვა მახასიათებლების ძიება, დღგ, ინვენტარი, მრავალი ვალუტა, შეკვეთების ისტორია, ინვოისის გაცემა, ელექტრონული გადახდა, დისტანციური მართვა და სხვა;-პროგრამული პროდუქტისთვის: პროგრამული უზრუნველყოფის ფასი, პლატფორმა, რომელზეც დაინსტალირდება პროგრამული სისტემა, სერვისის სკრიპტირება (ASP,PHP და სხვა). მიკროპროგრამული უზრუნველყოფა გვთავაზობს, ინსტრუმენტების კომპლექტს ელექტრონული კომერციის აპლიკაციების შესაქმნელად. როგორც წესი, ამ პროდუქტებს მრავალი მოდული აქვთ და მათი ინტეგრირებული ფუნქციონალურობის დონე დამოკიდებულია არჩეულ მოდულებსა და მათ თვისებებზე. ელექტრონული კომერციისთვის ყველაზე გამოყენებულ და მძლავრ უფასო პროგრამას შორისაა: Magento, Zen Cart, Ubercart, osCommerce Online Merchant, Quick.Cart (იხ. ცხრილი 1.)

**ცხრილი 1.**

**პროგრამული ინსტრუმენტები ელექტრონული კომერციისთვის**

პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტები	უფასო პროგრამული ინსტრუმენტები
CoreCommerce	Magento
Interspire Shopping	Cart Zen Cart
X-Cart	Ubercart
LiteCommerce 2.2x	osCommerce Online Merchant
EROL Business	Quick.Cart
StoreFront XE	BizHosting
	Yahoo! Merchant Solutions
	EasyStoreCreator

**ელექტრონული კომერციის პროგრამული ინსტრუმენტები**

ელექტრონული კომერციის ყველაზე გამოყენებად და მძლავრ პროგრამულ ინსტრუმენტებს შორისაა:

- Core Commerce
- Interspire shopping Software
- lite Commerce 2.2 x
- Erol Business
- Store Front XE და ა.შ

Core Commerce - ელექტრონული კომერციის ინსტრუმენტი, პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა სწრაფად შეიქმნას ონლაინ მაღაზიების ვებ-საიტები არსებული დიზაინის საფუძველზე ან პროფესიონალური დიზაინის შაბლონების გამოყენებით. Core Commerce ელექტრონული კომერციისთვის ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ პროგრამად, რომელიც მუდმივად განახლებულია მომხმარებლების მიერ შემოთავაზებული ახალი ფუნქციებით. იდეალურია მცირე და საშუალო ბიზნესის ისეთი სფეროებისთვის, როგორცაა: ტანსაცმელი, ავტომობილები, ელექტრონული საქონელი, ჩამოსატვირთი პროდუქტები, საკვები და სასმელი საჩუქრები, სათამაშოები, სპორტი, თამაშები და ა.შ.

კომერციული ინსტრუმენტის Core Commerce დაინსტალირება და კონფიგურაცია 30 დღის განმავლობაში უფასოა. საბაზისო პაკეტი იძლევა 50-მდე პროდუქტის გაყიდვის შესაძლებლობას, თვეში 1 გბ-მდე გამტარუნარიანობის გამოყენებას და სერვერზე 100მგ-მდე შენახვის შესაძლებლობას. არსებობს სამი პაკეტი, რომელიც დიფერენცირებულია იმ პროდუქტების მაქსიმალური რაოდენობით, რომელთა გაყიდვაც შეიძლება, გამტარუნარიანობის და სერვერზე გამოყოფილი მეხსიერების რაოდენობით.

X-Cart Qualiteam Software - არის ფირმა, რომელმაც შეიმუშავა X-Cart, ელექტრონული კომერციის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტი და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კალათის სისტემაა. ამ პროგრამის დახმარებით მთელს მსოფლიოში მრავალი ბიზნესი გახდა წარმატებული. X-Cart საცალო მოვაჭრეებს სთავაზობს აუცილებელ ინსტრუმენტებს ონლაინ გაყიდვებისთვის: დინამიური პროდუქტის კატალოგი, საყიდლების კალათა, მარაგის ზედამხედველობის შესაძლებლობა, ინტეგრირება ნამყვან კურიერებთან 100-ზე მეტი პორტალისა და გადახდის სისტემის მიწოდებით. ელექტრონული კომერციის ეს პროგრამული

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



ინსტრუმენტი დაფუძნებულია შაბლონზე და კოდი არის ღია წყარო, რაც იმას ნიშნავს, რომ ფუნქციონალობა შეიძლება შეიცვალოს ან გაფართოვდეს სხვადასხვა ბიზნესის კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშნული პროდუქტი არ საჭიროებს ლოგიკურ შეზღუდვებს იმ პროდუქტების რაოდენობის თვალსაზრისით, რომელთა შეცვლა შესაძლებელია.

X-Cart Pro- არის ელექტრონული კომერციის შესაძლებლობა, რომელიც უფრო მეტ კომპანიას სთავაზობს პროდუქციის ონლაინ გაყიდვას იმავე ვირტუალურ მაღაზიაში, ხოლო X-Cart Gold-ის მეშვეობით, მხოლოდ ერთ გამყიდველს შეუძლია ოპერირება ონლაინ მაღაზიაში. X-Cart

შეიძლება დაინსტალირდეს მრავალ ოპერაციულ სისტემაზე: Linux, Windows, MAC და სხვა. სერვერმა აუცილებელია უზრუნველყოს MySQL მონაცემთა ბაზის ვერსიების მხარდაჭერა 3,23-დან 5x ვერსიამდე. სერვერმა, რომელიც მასპინძლობს საიტს, უნდა დაუშვას ზოგიერთი გარე შესრულებადი ფაილის გაშვება, როგორცაა Pearl, HTTPS და სხვა მოდულები. რეკომენდირებულია SSL სერთიფიკატის აღება ონლაინ ტრანზაქციის უზრუნველსაყოფად.

Magento - არის უფასო ელექტრონული პლატფორმა, რომელიც მოვაჭრეებს აძლევს მოქნილობას და ასევე უპრეცედენტო კონტროლს მათი ვირტუალური მაღაზიის ინტერფეისზე და შინაარსზე. Magento ავლენს მძლავრ მარკეტინგულ ინსტრუმენტებს, საძიებო სისტემების ოპტიმიზაციას (SEO) და პროდუქტების კატალოგების მართვას, რომლის მეშვეობითაც მოვაჭრეებს ეძლევათ შესაძლებლობა შექმნან ვებსაიტები თავიანთი ბიზნესის უნიკალურ საჭიროებებზე მორგებული. Magento უფასოდაა ხელმისაწვდომი და ჩამოტვირთვადია ღია წყაროს სახით (OSL) 3.0 ლიცენზიით მომსახურების სფერო გლობალური განზომილებაა. გამყიდველები ონ-

ლაინ, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში უფრო და უფრო მეტ პროდუქტს ყიდვიან ელექტრონული კომერციის საშუალებით. გლობალიზაცია ართულებს ბაზარზე სახიფათო პროდუქტების შემოსვლის იდენტიფიცირებას. საქონელი და მომსახურება სულ უფრო დახვეწილი და მორგებული ხდება, მომხმარებლის ტრადიციული უფლებები სულ უფრო ნაკლებად იქნება მორგებული ციფრულ ეპოქას. აღნიშნული ზრდის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სირთულეებს და შესაბამისად, საჭიროა ბაზრის ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა, აუცილებელია სამომხმარებლო პოლიტიკა უკეთ მოერგოს ამ რეალობას. აღნიშნულის გაუმჯობესებაში აუცილებელია მომხმარებელთა კმაყოფილების, კითხვარების ჩართვა ელექტრონული კომერციის პლატფორმაზე. ეს საკითხები მოიცავს პრაქტიკულ ძალისხმევას, ეკონომიკური, საინფორმაციო, ინსტიტუციური და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად, რომელიც სრულად იქნება გამოყენებული მომხმარებელთა უფლებების დასაცავად, კანონით გარანტირებული და ვებ-ტექნოლოგიებით განხორციელებული.

**დასკვნა**

მდგრადი ბიზნესის პერსპექტივიდან გამომდინარე, ელექტრონული კომერციის გაანალიზებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტაბილური ონლაინ ბიზნესკონცეფციის შემუშავებას სჭირდება ბიზნესაზროვნების შეცვლა, ყველა დაინტერესებული მხარისა და პარტნიორებისგან.

აღნიშნული ეხება ბიზნესის პოლიტიკურ გაგებას, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას პარტნიორულ თანამშრომლობაში. ეს ფუნქციები მჭიდროდ იზიდავს ბიზნესის მონიტორინგს და ასევე ვირტუალური ბიზნესის მთელ სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტების დახმარებით.